# შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო უნივერსიტეტი
# ა ლ ტ ე რ ბ რ ი ჯ ი

## ეთიკის კოდექსი

განხილულია აკადემიური საბჭოს მიერ ოქმი N2, 05/03/19 წ.
დამტკიცებულია რექტორის 07/03/2019 წ. N ბ/1-01/08 ბრძანებით.
განახლების თარიღი : 20.01.2020

## თავი 1. ზოგადი დებულებანი

### მუხლი 1. მიზანი და მოქმედების სფერო

1.1. ეთიკის კოდექსი (შემდგომში „კოდექსი“) ვრცელდება მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ „ალტერბრიჯის“ (შემდგომში ,,სასწავლო უნივერსიტეტი“) აკადემიურ, მოწვეულ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალსა და სტუდენტებზე;
1.2. კოდექსის მიზანია დაწესებულებაში ქცევის ისეთი ნორმების დამკვიდრება, რომლებიც ხელს შეუწყობს:
ა) სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის სათანადოდ შესრულებას;
ბ) სასწავლო უნვერსიტეტში დასაქმებული პერსონალისა და სტუდენტების შესაბამისი პასუხისმგებლობისა და სამართლიანობის პრინციპების განმტკიცებას;
გ) სასწავლო უნივერსიტეტის მისიის, მიზნებისა და ამოცანების შესრულებას;
დ) აკადემიური თავისუფლებისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას;
ე) პროფესიულ საქმიანობაში კანონმდებლობისა და სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი ნორმატიული აქტების მოთხოვნების განუხრელ დაცვას.
1.3. სასწავლო უნივერსიტეტის მისიისა და მიზნებიდან გამომდინარე, ქცევის კოდექსის მიზანია იმგვარი ეთიკური სტანდარტების დამკვიდრება, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს ჯანსაღი სოციალური, პროფესიული, სასწავლო, კვლევითი და შემოქმედებითი გარემოს ფორმირებას.

### მუხლი 2. ზოგადი პრინციპები

სასწავლო უნიერსიტეტის პერსონალი და სტუდენტი, თავის საქმიანობას უნდა წარმართავდეს კეთილსინდისიერების, პატიოსნებისა და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით. იგი თავის საქმიანობაში უნდა ხელმძღვანელობდეს კულტურის, თავაზიანობის, ღირსების, ურთიერთპატივისცემის, ტოლერანტობის, ნდობის, მიუკერძოებლობის, თანასწორობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებით.

### მუხლი 3. პერსონალის მოვალეობები

3.1. პერსონალი, თავისი პროფესიული და თანამდებობრივი მოვალეობებიდან გამომდინარე, ვალდებულია ისწრაფვოდეს:
ა) საქართველოს კონსტიტუტუცით, მოქმედი კანონმდებლობითა და საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზებისკენ;
ბ) სასწავლო უნივერსიტეტის ფასეულობებისა და ტრადიციების პატივისცემისაკენ;
გ) სასწავლო უნივერსიტეტის რეპუტაციის დაცვისა და შენარჩუნებისკენ;
დ) საზოგადოებაში სასწავლო უნივერსიტეტის სახელისა და ავტორიტეტის განმტკიცების ხელშეწყობისაკენ;
ე) კოლეგებთან მიმართებით აკადემიური პატიოსნების დაცვისაკენ;

ვ) თანამშრომლებისა და სტუდენტების მიმართ სამართლიანი და პატივისცემით მოპყრობისაკენ;
ზ) საკუთარი გამოცდილების კოლეგებისთვის გაზიარებისაკენ, სხვების საქმიანობაში ჩაურევლად;
თ) მასმედიასთან, მესამე პირებთან იმგვარი კომუნიკაციისაგან თავის შეკავებისაკენ, რამაც უნივერსიტეტის ან კოლეგების ავტორიტეტზე უარყოფითად შეიძლება იმოქმედოს;
ი) კოლეგებს შორის ურთიერთნდობისა და კეთილგანწყობის დამკვიდრების ხელშეწყობისაკენ;
3.2. პერსონალს მოეთხოვება:
ა) კოლეგებთან ურთიერთობისას გამოავლინოს პროფესიული სოლიდარობა და შექმნას ჯანსაღი სამუშაო ატმოსფერო;
ბ) საერთო მიზნის მისაღწევად იმოქმედოს გუნდურობის პრინციპით და ხელი შეუწყოს კოლეგებს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში;
გ) პატივი სცეს გარშემომყოფთა სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლებას;
დ) თავი შეიკავოს ავტორიტეტის შებღალვაზე მიმართული ქმედებებისაგან
ე) არ მოითხოვოს კანონით გაუთვალისწინებელი შეღავათები და დათმობები, რაც მათ კოლეგებსა თუ სტუდენტებს ეთიკური დილემის წინაშე დააყენებს;
ვ) არ გამოიყენოს თანამდებობრივი მდგომარეობა და საკუთარი ავტორიტეტი პირადი გამორჩენის მიზნით,
ზ) თავი აარიდოს ანონიმური წერილების, ასევე, კოლეგის პირადი ცხოვრების შესახებ დაუსაბუთებელ ან დასაბუთებული კომენტარების / ჭორების გავრცელებას;
თ) სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას გაუფრთხილდეს სასწავლო უნივერსიტეტის ქონებას და გამოიყენოს მხოლოდ სამსახურებრივი მიზნებისათვის;
ი) მიიღოს შესაბამისი ზომები აკადემიური ეთიკის დარღვევის შემთხვევებში (პლაგიატი, თვითპლაგიატი, კომპილაცია, ფაბრიკაცია/ფალსიფიკაცია);
კ) პატივისცემით მოეპყროს თანამოსაუბრეებს და საკუთარი მოსაზრებები გამოთქვას ტაქტიანად.
3.3. დაუშვებელია:
ა) პერსონალის მიერ სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის გამოყენება კერძო ინტერესებისათვის;
ბ) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ალკოჰოლური თუ სხვა ძლიერმოქმედი ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ, ან სასწავლო უნივერსიტეტის ღირსებისათვის შეუფერებელ სხვა მდგომარეობაში ყოფნა;
გ) ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია, პირადი ან სხვა სახის კონფლიქტის პროვოცირება / გაღვივება;
დ) თანამდებობრივი მდგომარეობისა და საკუთარი ავტორიტეტის გამოყენება იმდაგვარად, რაც ნეგატურ გავლენას იქონიებს კოლეგებზე;
ე) წინასწარ განზრახულად კოლეგის შეცდომაში შეყვანა, კოლეგისა და /ან სტუდენტის პიროვნული კრიტიკა, შეურაცხყოფა, დამცირება, ცილისწამება, ანონიმურად დადანაშაულება;
ვ) საჩუქრის და/ან ფულადი თანხის მიღება სარგებლისა თუ გამორჩენის მიზნით.
3.4. აკადემიური/მოწვეული პერსონალი ვალდებულია გაითვალისწონოს როგორც ზემოაღნიშული პუნქტებით/ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეთიკის ნორმები და ვალდებულებები, ასევე დაიცვას შემდეგი წესები:

ა) სასწავლო პროცესი წარმართოს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული შესაბამისი სასწავლო კურსების (სილაბუსების) შესაბამისად;
ბ) ხელი შეუწყოს გამჭვირვალე სასწავლო გარემოს ფორმირებას;
გ) შეიმუშაოს და დანერგოს სწავლებისა და შეფასების ისეთი მეთოდები, რაც განაპირობებს სტუდენტების აკადემიურ პატიოსნებას და გამორიცხავს აკადემიური ეთიკის ნორმების დარღვევას;
დ) გამორიცხოს შეფასებაზე ზემოქმედების, ფავორიტიზმის, პროტექციონიზმის და სხვა მსგავსი ფაქტორებით სტუდენტთა დისკრიმინაცია;
ე) არ დაუშვას სტუდენტების, მათი ახლობლების შესაძლებლობათა გამოყენება პირადი სარგებლისა თუ გამორჩენის მიზნით;
ვ) სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე დაიცვას ჩაცმის აკადემიური სტილი.

**მუხლი 4. სტუდენტის ვალდებულებები და უფლებამოსილებები**

4.1. სტუდენტი ვალდებულია:
ა) ხელი შეუწყოს დაწესებულების ავტორიტეტის ამაღლებას და გაუფრთხილდეს მის რეპუტაციას;
ბ) სასწავლო უნივერსიტეტში არ შეიტანოს ალკოჰოლი, ნარკოტიკული საშუალებები, იარაღი;
გ) არ დაკავდეს აზარტული თამაშებით, ასევე არ ჩაიდინოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული არამართლზომიერი ქმედება;
დ) არ მოწიოს სასწავლო უნივერსიტეტის შენობაში თამბაქო;
ე) გაუფრთხილდეს სასწავლო უნივერსიტეტის ქონებას;
ვ) პირადი სარგებლის სანაცვლოდ, პერსონალის წარმომადგენლებს არ შესთავაზოს ფასიანი საჩუქარი, ფულადი თანხა ან სხვა სახის გამორჩენა;
ზ) პატივი სცეს დაწესებულების პერსონალს და სხვა სტუდენტებს, არ მიაყენოს მათ შეურაცხყოფა;
თ) არ ჩაიდინოს აკადემიური სიყალბე, კერძოდ:

- გადაიწეროს სხვისი ნამუშევრიდან ან სასწავლო კურსის ხელმძღვანელთან შეუთანხმებლად გამოიყენოს რაიმე დამხმარე მასალა;
- სხვა სტუდენტის ნაცვლად ჩააბაროს გამოცდა, ან სთხოვოს სხვა პირს მის მაგივრად გამოცდის ჩაბარება;
- მოიპოვოს ან/და გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია გამოცდის შესახებ;
- შესაბამისი წყაროს მითითების გარეშე მოახდინოს სხვისი ნაშრომის ან გამონათქვამის ციტირება;
- გააყალბოს თავისი მონაცემები;

4.2. სტუდენტი უფლებამოსილია მოითხოვოს მისი კანონიერი უფლებების დაცვა (მაგ.: გაასაჩივროს მისთვის არასასურველი სწავლის შედეგი და სხვ.) და განცხადებით მიმართოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს.

## თავი 2. დისციპლინური წარმოება

**მუხლი 5. დისციპლინური წარმოების დაწყება და ვადები**

5.1. წინამდებარე კოდექსის მოთხოვნათა დარღვევისას შესაძლოა დაიწყოს ფორმალური დისციპლინური წარმოება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს შესაბამისი დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება;
5.2. ნებისმიერი პირი, ვისაც მიაჩნია, რომ დაირღვა კოდექსით გათვალისწინებული სტანდარტი, წერილობითი განცხადებით მიმართავს სკოლის დეკანს, კანცლერს ან რექტორს, დარღვევის ხასიათისა და მნიშვნელობის შესაბამისად;
5.3. სტუდენტის, სკოლის პერსონალის წინააღმდეგ დისციპლინური წარმოება იწყება შესაბამისი სკოლის ფარგლებში, დეკანისათვის წარდგენილი შესაბამისი საჩივრის საფუძველზე;
5.4. ადმისტრაციის ხელმძღვანელის ზედამხედველობის სფეროში მოქმედი ერთეულების წინააღმდეგ დისციპლინური წარმოება იწყება ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის წარდგენილი საჩივრის საფუძველზე;
5.5. დეკანის წინააღმდეგ მიმართული დისციპლინური წარმოება იწყება რექტორისადმი წარდგენილი საჩივრის საფუძველზე;
5.6. პირდაპირ რექტორის წინაშე გაკეთებული საჩივარი თავისი ხასიათისა და მნიშვნელობიდან გამომდინარე შესაძლოა იერარქიულად ქვედა დონეზე გადამისამართდეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სარჩელის ავტორი ამის წინააღმდეგია;
5.7. აკადემიური ან მოწვეული პერსონალის წინააღმდეგ მიმართული საჩივარი, რომელიც ეხება აკადემიური ეთიკის ნორმებს, განიხილება შესაბამისი სკოლის დონეზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა პირი, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია საჩივარი, აცხადებს სურვილს საკითხის რექტორის დონეზე განხილვაზე;
5.8. დისციპლინური წარმოების საერთო ვადაა საჩივრის შემოსვლის დღიდან 30 სამუშაო დღე. ვადა შესაძლოა, გაგრძელდეს გონივრული პერიოდით, თუკი ეს განპირობებულია საკითხის სირთულით ან მოკვლევის ობიექტური აუცილებლობით.

**მუხლი 6. დისციპლინური წარმოების განმახორციელებელი ორგანო, მისი უფლებამოსილებანი და საქმის განხილვის პროცესში ჩართული პირები**

6.1. სასწავლო უნივერსიტეტში დისციპლინური წარმოება დამრღვევ პირებთან მიმართებით ხორციელდება სკოლის საბჭოს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ან რექტორის გადაწყვეტილებით განსაზღვრული დროებითი კომისიის - დისციპლინური კომისიის მიერ;
6.2. კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის დროს განისაზღვრება დროებითი კომისიის შემადგენლობა;
6.3. კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ მოსარჩელე/განმცხადებელი და პირი, რომლის წინაშეც დაწყებულია დისციპლინური წარმოება;
6.4. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 3 - 5 წევრით, სასწავლო უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალის, სტუდენტის ან/და სხვა მოწვეული პირით;
6.5. დისციპლინურ კომისიას გააჩნია შემდეგი უფლებამოსილებები:
ა) ჩაატაროს გარემოებათა მოკვლევა;
ბ) ჩამოართვას ახსნა-განარტებები საჩივრის ავტორს და პირს, რომლის წინააღმდეგაც შემოსულია საჩივარი, გაესაუბროს სხვა მოწმეებს;
გ) განიხილოს საკითხი და დააკისროს სანქციები პირს, რომლის მიმართაც განხორციელდა დისციპლინური წარმოება;
დ) გადაწყვეტილება აღსრულებისათვის წარუდგინოს პასუხისმგებელ პირს;

6.6. დისციპლინური დამრღვევის მონაწილეობა საქმის განხილვაში:
ა) ეთიკის დამრღვევი  უფლებამოსილია დაესწროს კომისიის სხდომას და დაიცვას საკუთარი პოზიციები, სხდომის თაობაზე მას ეცნობება 5 დღით ადრე.
ბ) თუკი ეთიკის დამრღვევი პირი არ ცხადდება სხდომაზე, სხდომა გადაიდება 5 დღით ან იმ დროით, რომელიც გამომდინარეობს გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზიდან. თუ ეს პირი არასაპატიო მიზეზით მეორედ არ გამოცხადდება სხდომაზე, კომისია უფლებამოსილია განიხილოს საქმე მისი დასწრების გარეშე და სათანადო საფუძველის არსებობის შემთხვევაში, გამოიტანოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

**მუხლი 7. განცხადება/საჩივრის განხილვის პროცედურები და წესი**

7.1. დისციპლინურმა კომისიამ საჩივარი უნდა განიხილოს სამართლიანად და მიუკერძოებლად.  კომისიის სხდომები დახურულია, ხოლო დისციპლინური წარმოებისას მოპოვებული ინფორმაცია კონფიდენციალური. კომისია აწარმებს მოკვლევას საკითხის გარშემო და ნიშნავს პასუხისმგებელ პირს. საჩივრის ავტორსა და ეთიკის დამრღვევს მოკვლევის შედეგები უნდა ეცნობოს სხდომამდე 5 დღით ადრე;
7.2 კომისიის სხდომებს ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო საქმის მიმდინარეობას დოკუმენტალურად ასახავს სხდომის  მდივანი;
7.3 კომისიის სხდომაზე შეიძლება მოიწვეულ იქნან მოწმეები და განსახილველი შემთხვევის მონაწილე პირები.
7.4 საჩივრის ავტორსა და ეთიკის დამრღვევს ეძლევა საშუალება წარმოადგინონ საკუთარი პოზიციები, შეკითხვები დაუსვან მოწმეებს, წარმოადგინონ წერილობითი და სხვა სახის მტკიცებულებანი, აგრეთვე ჩვენებების ჩამორთმევის მიზნით, მოითხოვონ სხვა პირების ან ექსპერტების მოწვევა.
7.5 კომისია გადაწყვეტილებას იღებს სრული შემადგენლობის უმრავლესობით, ღია კენჭისყრით. შესაბამის ოქმს ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და მდივანი. განსხვავებული აზრი ფორმდება წერილობით და თან ერთვის გადაწყვეტილებას.

**მუხლი 8. დისციპლინური სახდელის სახეები**

8.1. ადმინისტრაციული, დამხმარე, აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის დაწესებულია დისციპლინური სახდელები:
ა) შენიშვნა;
ბ) საყვედური;
გ) სამსახურიდან გათავისუფლება, როგორც უკიდურესი ზომა
8.2.  სტუდენტებისათვის დაწესებულია დისციპლინური სახდელის შემდეგი სახეები:
ა) შენიშვნა;
ბ) საყვედური;
გ) სასტიკი საყვედური;
დ) დადგენილი შეღავათით/სტიპენდიით სარგებლობის უფლების შეზღუდვა;
ე) სასწავლო უნივერსიტეტიდან გარიცხვა
8.3. შენიშვნა გამოიყენება პირველი დისციპლინარული გადაცდომისათვის, აგრეთვე, თუკი დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრებისას გადაწყვეტილების მიმღები

ორგანო/პირი გაითვალისწინებს გადაცდომის ჩამდენის დამოკიდებულებას ჩადენილი ქმედებისადმი - უფრო მძიმე სახდელის სანაცვლოდ;

8.4. საყვედური გამოიყენება განმეორებით ჩადენილი დისციპლინარული გადაცდომისათვის, ასევე სტუდენტის მიმართ - აკადემიური პატიოსნების ნორმების დარღვევის შემთხვევაში;

8.5. სასტიკი საყვედური გამოიყენება დარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე, ასევე, სტუდენტის მიმართ აკადემიური პატიოსნების ნორმების დარღვევის შემთხვევაში;

8.6. სამსახურიდან გათავისუფლება გამოიყენება დაწესებულების აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მიმართ, თუკი მოქმედი დამატებითი კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით შეუძლებელია შრომითი ურთიერთობის გაგრძელება;

8.7. შეღავათებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა / ჩამორთმევა დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით შეიძლება იყოს დროებითი ან მუდმივი ხასიათის და მისი გამოყენება დაკავშირებულია დარღვევის შინაარსზე;

8.8 რამდენიმე გადაცდომის ერთდროულად არსებობისას უფრო მძიმე სახდელი შთანთქავს შედარებით მსუბუქს.

8.9. სასწავლო უნივერსიტეტიდან გარიცხვა, როგორც უკიდურესი ზომა, გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დარღვევა უხეში, განზრახი ხასიათისაა ან სახეზეა მრავალჯერადი რეციდივი და დარღვევას თან ახლავს ნეგატიური შედეგები სასწავლო უნივერსიტეტის, მისი პერსონალის ან სხვა სტუდენტის ან მესამე პირებისათვის.

**მუხლი 9. პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების საპრევენციო მექანიზმები**

9.1 აკადემიური და მოწვეული აკადემიური პერსონალი, ასევე სტუდენტი სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობისას ვალდებულია დაიცვას აკადემიური პატიოსნების პრინციპები და არ დაუშვას პლაგიატი. ეთიკის კოდექსში გაცხადებული წესი საჯაროობის პრინციპების დაცვით, საინფორმაციო კამპანიით, შესაბამისი გამოკითხვებით ხელს უწყობს პლაგიატის პრევენციას, ავლენს პლაგიატის ფაქტებს და მათი აღმოჩენის შემთხვევაში გააჩნია შესაბამისი რეაგირების მექანიზმები.

9.2. პლაგიატად ჩაითვლება:

ა) სხვისი ნამუშევრის (სტუდენტის ნამუშევრის ჩათვლით) კოპირება, ავტორზე და/ან წყაროზე მითითებისა და მისი ნებართვის გარეშე, საკუთარ ნაშრომად გასაღების მიზნით;

ბ) სხვისი მოსაზრებების, იდეების, არგუმენტების უცვლელად გამოყენება, ციტირება ან პერიფრაზი ავტორზე ან წყაროზე მითითების გარეშე, საკუთრად გასაღების მიზნით;

გ) საკუთარი ნაშრომის განმეორებით ახალ ნაშრომად წარმოჩენა (თვით-პლაგიატი);

დ) სასწავლო უნივერსიტეტის მიერ მიღებული სამეცნიერო ნაშრომის შესრულების შესახებ მოთხოვნათა სერიოზული დარღვევა ციტირების სტანდარტების ნაწილში.

9.3 პლაგიატის პრევენციის მიზნით სასწავლო უნივერსიტეტში საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სწავლების პირველ კურსზე სავალდებული საგნის სახით ისწავლება აკადემიური წერა, ასევე სასწავლო უნივერსიტეტი ინფორმირების მიზნით მართავს საკონსულტაციო შეხვედრებს სტუდენტებისთვის, აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის.

9.4 პლაგიატის აღმოჩენის მიზნით, სასწვალო უნივერსიტეტი სარგებლობს სპეციალური პროგრამით.

9.5. პლაგიატის შემთხვევა განიხილება მხოლოდ კომისიური წესით, ხოლო დადასტურების შემთხვევაში, სასწავლო უნივერისტეტის რეპუტაციის შელახვის გამო, მე-8 მუხლში მოცემული დისციპლინური სახდელების გარდა, დამატებით შესაძლოა, შემდეგი სანქციების გამოყენება:
ა) ნაშრომის გამოქვეყნებაზე უარი;
ბ) აკადემიური ხარისხის ჩამორთმევა;
გ) ნაშრომის შედეგების გაუქმება;
დ) ინფორმაციის გასაჯაროება, რომ სასწავლო უნივერსიტეტი ემიჯნება ნაშრომს;
ე) პლაგიატის ავტორის მიმართ მოთხოვნა, რომ საჯაროდ უარყოს დაწესებულების კავშირი ნაშრომთან;
ვ) სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი კვლევების წამახალისებელი აქტივობების შეჩერება.

**მუხლი 10. გადაწყვეტილების შინაარსი და შეტყობინება**

10.1. გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს:
ა) წარმოების დამწყები ერთეულის სახელს და კომისიის შემადგენლობას;
ბ) დამრღვევის სახელს, გვარს და სტატუსის თაობაზე ინფორმაციას;
გ) დევნის დაწყების თარიღს;
დ) საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების თარიღებს;
ე) საქმესთან დაკავშირებულ ფაქტობრივ გარემოებათა აღწერას;
ვ) ეთიკური გადაცდომის არსს;
ზ) გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივ საფუძველს;
თ) დაკისრებული დისციპლინური სახდელის სახეს;
10.2. დისციპლინური ორგანოს/პირის გადაწყვეტილების დამოწმებული ასლი ეგზავნება დამრღვევს გადაწყვეტილების გამოტანიდან ხუთი (5) დღის ვადაში;
10.3. გადაწყვეტილების ასლი უნდა დაერთოს დამრღვევის პირად საქმეს.
10.4.კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 11. სახდელის მოქმედების ვადები**

დისციპლინური სახდელები შენიშვნა, საყვედური, სასტიკი საყვედური მოქმედებს მხოლოდ გარკვეული ვადით, დისციპლინული სახდელი გაქარწყლდება, კერძოდ, შენიშვნა ძალას კარგავს შესაბამისი გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან სამი თვის შემდეგ, საყვედური და სასტიკი საყვედური - ექვსი თვის შემდეგ.

**თავი 3. დასკვნითი დებულებები**

**მუხლი 12. დასკვნითი დებულებები**

12.1. წინამდებარე კოდექსი ძალაშია რექტორის შესაბამისი ბრძანების გამოცემის თარიღიდან.
12.2. წინამდებარე კოდექსი უნდა გამოქვეყნდეს დადგენილი წესით.